კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობის

საგრანტო კონკურსი

საგრანტო სახელმძღვანელო

დოკუმენტი მომზადდა CENN-ის მიერ პროექტის „კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობა - PRAISE Marneuli“ ფარგლებში დოკუმენტი განახლდება მთლიანად ან ნაწილობრივ, საჭიროების შემთხვევაში.

2022 წელი

შინაარსი

1. პროექტის შესახებ 4

2. საგრანტო კონკურსის შესახებ 4

3. კონკურსში მონაწილეობა 5

4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა 6

5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება 8

6. განცხადებებისა და საჩივრების კომისია 14

7. პროექტის დაფინანსების შემდგომი მონიტორინგი 14

1. პროექტის შესახებ

პროექტი „კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობა - PRAISE Marneuli“ დაფინანსებულია HEKS-EPER-ის მიერ და ემსახურება მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების) შემოსავლის შექმნის შესაძლებლობების გაზრდას, გარემოსადმი მეგობრული და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობის (CRA) ხელშეწყობისა და პოპულარიზების გზით.

პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის სოფლებში სიღარიბის შემცირებას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ადამიანის უფლებათა საკითხების მოგვარებას. აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებით, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობითა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის ეკონომიკისა და ადგილობრივი თემების მშენებლობის გზით. პროექტი ხელს უწყობს მცირე მეწარმეების, ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ადგილობრივი აქტორების ხელმისაწვდომობის გაზრდას ცოდნასა და ინოვაციურ მიდგომებზე, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას (პროექტი აქცენტს სვამს ძირითადად მებოსტნეობის ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებზე), საუკეთესო პრაქტიკების დემონსტრირებას, ბიზნესკავშირების შექმნასა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების მხარდაჭერას.

2. საგრანტო კონკურსის შესახებ

კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობის საგრანტო კონკურსის მიზანია **მარნეულის მუნიციპალიტეტში** ისეთი ინიციატივებისა და პროექტების გამოვლენა და დაფინანსება, რომლებიც ემსახურება **კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვას** და ამ გზით ადგილობრივი მოსახლეობისათვის **შემოსავლების შექმნის შესაძლებლობების გაზრდასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.**

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება ისეთი ინიციატივები და პროექტები, რომლებიც ემსახურება:

- კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი და გარემოსადმი მეგობრული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და პრაქტიკების დანერგვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას;
- ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის (სოციალურად დაუცველი ჯგუფები, ეკომიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, შშმ პირები) შემოსავლების შექმნის შესაძლებლობების განვითარებას სოფლის მეურნეობის სექტორში;

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდას;
- მდგრადი ბიზნეს ან/და სოციალური სერვისების შექმნას ადგილზე, რომლებიც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობის განვითარებასა და გარემოსდაცვას.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში შემოსული ინიციატივები და პროექტები უნდა პასუხობდეს მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის კლიმატისადმი მდგრადი სოფლის მეურნეობის ჩარჩო დოკუმენტში ასახულ გამოწვევებს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, CENN გამოაცხადებს მინიმუმ ერთ საგრანტო კონკურსს. გამოცხადებულ კონკურსზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება პროექტის ფეისბუკ გვერდიდან "PRAISE – MARNEULI" და CENN-ის ვებგვერდიდან www.cenn.org. პროექტის გუნდი ასევე გამართავს საინფორმაციო შეხვედრებს მარნეულის მუნიციპალიტეტში.

3. კონკურსში მონაწილეობა

3.1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეებს (ფიზიკურ პირებს);
2. ფიზიკურ პირთა ჯგუფებს (საინიციატივო ჯგუფებს);
3. მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მოქმედ იურიდიულ პირებს (არასამთავრობო ორგანიზაცია, სათემო ცენტრი, ასოციაცია, შპს, ინდივიდუალური მეწარმე, კოოპერატივი);
4. მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს;

ზემოაღნიშნულმა პირებმა პროექტი უნდა განახორციელონ მარნეულის მუნიციპალიტეტში!

შენიშვნა 1: პროექტის განმცხადებელი შესაძლებელია იყოს ფიზიკური პირი ან პირთა ჯგუფი, თუმცა, პროექტის განხორციელებაზე კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, განმცხადებელს მოეთხოვება იურიდიული პირის დაფუძნება.

შენიშვნა 2: განმცხადებლებმა, თუ მათ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, უნდა გაითვალისწინონ, რომ გრანტის მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, სახელმწიფოს მხრიდან გადაიხედოს აღნიშნული სტატუსის კვლავ მინიჭების საკითხი.

3.2. კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

1. პოლიტიკურ პარტიებს;
2. რელიგიურ ორგანიზაციებს;
3. ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო ინსტიტუტი, ლომბარდი და ა.შ.);
4. ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯგუფებს და ა.შ., რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური პირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონკურსში მონაწილეობა არ განიხილება აპლიკანტებისათვის, რომლებსაც:

- შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.), სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, დატვირთული აქვთ იპოთეკით, გირავნობით, ყადაღით;
- შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) არ აქვთ საკუთრებაში ან არ სარგებლობენ გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებით აღნიშნულ ობიექტზე (მინიმუმ, 5 წელი). იჯარის ნაწილში, კონკრეტული პროექტის დაფინანსების საკითხი გადაწყდება ინდივიდუალური მიდგომით, დასაფინანსებელი პროექტის შინაარსიდან, მასშტაბიდან და ბიუჯეტიდან გამომდინარე.

4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა

საგრანტო განაცხადის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის (გრანტის) მინიმალური ოდენობა შეადგენს 4,000 ლარს, ხოლო მაქსიმალური - 17,000 ლარს.

საგრანტო კონკურსი ხელს შეუწყობს, როგორც ბიზნეს/კომერციული, ასევე სოციალური და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. **ბიზნეს/ კომერციული პროექტების განმცხადებლებს მოეთხოვებათ ფულადი თანამონაწილეობა წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 20% (თანადაფინანსებად ჩაითვლება მხოლოდ თანხობრივი მონაწილეობა), ხოლო სოციალური და საგანმანათლებლო პროექტების განმცხადებლებს თანამონაწილეობა არ მოეთხოვებათ.**

პროექტის ბიუჯეტის თანამონაწილოების პროცენტის გამოთვლის ფორმულის მაგალითი.

A. პროექტის საერთო ღირებულება: მაგალითად 18,000 ლარი.

B. თანამონაწილეობა: მაგალითად 20%.

C. განმცხადებლის კონტრიბუცია: 3,600 ლარი (A*B = 3,600).

D. საგრანტო ფონდიდან მოთხოვნილი თანხა 14,400 ლარი (A-C=14,400)

შენიშვნა 1: საგრანტო ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს **17,000 ლარს.**

პროექტის განხორციელების ვადა ბიზნეს/კომერციული ინიციატივების შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს **4 თვეს,** ხოლო სოციალური და საგანმანათლებლო ინიციატივების შემთხვევაში **6 თვეს.**

შენიშვნა 2: საგრანტო დაფინანსება, ასევე თანამონაწილეობის თანხა განკუთვნილია მხოლოდ საინვესტიციო მიზნების დაფინანსებისთვის და არ ითვალისწინებს მიმდინარე ხარჯების დაფარვას.

დამატებითი პირობები:

- განმცხადებელმა პროექტში მითითებული ობიექტისათვის (მაგ., მიწა, შენობა-ნაგებობა), სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, უნდა წარმოადგინოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის დოკუმენტი ან გრძელვადიანი იჯარის (მინიმუმ, 5 წელი) ხელშეკრულება საპროექტო განაცხადთან ერთად დანართის სახით.
- ბენეფიციარმა, პირველ რიგში, უნდა განახორციელოს **საკუთარი თანამონაწილეობით განსაზღვრული თანხების სრულად ხარჯვა** და წარადგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. მას შემდეგ, რაც CENN გრანტიორისგან მიიღებს მისი თანამონაწილეობით განსაზღვრული თანხების სრულად ხარჯვის ფინანსურ დოკუმენტაციას და მონიტორინგის შედეგად დაადგენს დაკისრებული სამუშოს ხარისხიან შესრულებას, ორგანიზაცია დაიწყებს **გრანტის თანხით გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსებას** და თავადვე უზრუნველყოფს ამ თანხით განსაზღვრული ნებისმიერი სახის პროდუქციისა და სერვისის შეძენას, ტრანსპორტირებას ან/და მონტაჟს. სოციალური და საგანმანათლებლო პროექტების შემთხვევაში, რომლებსაც არ მოეთხოვებათ თანამონაწილეობა, CENN უზრუნველყოფს გრანტის თანხის გახარჯვას.

საგრანტო რესურსით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

1. ხელფასები (გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლოა, დაფინანსდეს ექსპერტის/სპეციალისტის ჰონორარი);
2. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, შინაური ფრინველების, ფუტკრის ოჯახების შეძენა;
3. უძრავი ქონების შეძენა;
4. ავტომობილი, მიკროავტობუსი, ავტობუსი და სხვ. (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა პროექტის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე);
5. სემინარებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;
6. კვლევების ან ტრენინგების ინდივიდუალური დაფინანსება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს;
7. აკადემიური და სამეცნიერო კვლევები;
8. სასწავლო/სამეცნიერო გრანტები;
9. ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;
10. ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები;
11. გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;
12. ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად;
13. მესამე მხარისათვის გაცემული სესხები;
14. სადაზღვევო ხარჯები;
15. მეორადი ტექნიკა, დანადგარები, მასალები და ა.შ.
16. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

საგრანტო კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

I ეტაპი - სრული პროექტული წინადადების წარდგენა

II ეტაპი - განაცხადების განხილვა და შეფასება საგრანტო კომისიის მიერ

III ეტაპი - მონიტორინგი და გასაუბრება

IV ეტაპი - საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება.

I ეტაპი - სრული პროექტული წინადადების წარდგენა

განმცხადებელმა საგრანტო იდეის სრული განაცხადის წარდგენისას უნდა გამოგზავნოს შემდეგი ფორმები და დანართები:

ფორმები (აუცილებელია შევსებული ფორმები იყოს ხელმოწერილი)

- **ფორმა 1:** შევსებული საპროექტო განაცხადი;
- **ფორმა 2:** პროექტის დეტალური ბიუჯეტი (თანხები მითითებული უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით);
- **ფორმა 3:** მოგება-ზარალის უწყისი;
- **ფორმა 4:** პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დამადასტურებელი ინვოისები (იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გამწევ/პროდუქციის მომწოდებელ კომპანიას თავად არ შეუძლია ინვოისის გამოწერა პოტენციური ბენეფიციარისთვის).

დანართები

- **დანართი 1:** პროექტში მითითებული ობიექტისათვის (მაგ., მიწა, შენობა-ნაგებობა), სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან გრძელვადიანი იჯარის (მინიმუმ, 5 წელი) ხელშეკრულება;
- **დანართი 2:** იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი არის იურიდიული პირი, განახლებული ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- **დანართი 3:** პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დამადასტურებელი ინვოისები (იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გამწევი/პროდუქციის მომწოდებელი თავად უზრუნველყოფს ინვოისის გამოწერას პოტენციური ბენეფიციარისთვის).
- სხვა დოკუმენტები საჭიროებისამებრ.

შევსებული ფორმები და დანართები უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად, ხელმოწერილი ან/და არსებობის შემთხვევაში ბეჭდით დამოწმებული შემდეგ ელ.ფოსტაზე: grants@cenn.org

მეილის სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს **„საგრანტო კონკურსი_PRAISE Marneuli 2022“.** ერთ განმცხადებელს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა. განმცხადებელი მიიღებს განაცხადის წარდგენის დასტურს საპასუხო მეილით.

განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია ქართულ, აზერბაიჯანულ ან/და სომხურ ენებზე, თუმცა განაცხადს თან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 25 იანვარი, 18:00 საათი. ვადაგადაცილებით წარმოდგენილი ან/და ხელით შევსებული საპროექტო იდეები არ მიიღება.

განაცხადის ფორმების შევსებასა და წარდგენასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე დაინტერესებულ პირებს კონსულტაციები გაეწევათ განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე, როგორც დისტანციურად, ასევე წინაწარ დაგეგმილი პირისპირი საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში.

II ეტაპი - განაცხადების განხილვა და შეფასება საგრანტო კომისიის მიერ

სრულყოფილად შევსებული შემოსული განაცხადების განსახილველად შეიქმნება 7 წევრისგან შემდგარი საგრანტო კომისია: CENN-ის წარმომადგენლები, პროექტის ფარგლებში შექმნილი მულტისექტორული სამუშაო ჯგუფის (MSWG) წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სრული განაცხადების განხილვის პროცესში, საჭიროებიდან და პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოწვეულ იყვნენ სხვადასხვა დარგის ექსპერტები. საგრანტო კომისია საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინებს მათ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს.

განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება

საგრანტო განაცხადი, მისი შერჩევისა და შეფასების პროცესის დაწყებამდე გაივლის ფინანსურ-ადმინისტრაციულ შემოწმებას (წარმოდგენის ვადა, განაცხადის ფორმა, განმცხადებლის რეკვიზიტები, დანართების სიზუსტე, ბიუჯეტის რელევანტურობა და ა.შ.).

ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმების ეტაპზე აღმოჩენილი ხარვეზის(ების) არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად კომისია განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა საგრანტო განაცხადი მოიხსნება კონკურსიდან.

შეფასების და შერჩევის პროცესი

განაცხადის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმები	ქულა
1. **იდეის აქტუალურობა და შესაბამისობა პროექტის მიზანთან და პრიორიტეტულ მიმართულებებთან** პროექტის იდეა აქტუალურია სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის და კავშირშია კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებისა და გარემოსადმი მეგობრული ტექნოლოგიების დანერგვასა და პოპულარიზაციასთან და შეესაბამება საგრანტო კონკურსის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას (იხ. თავი 2).	**15 ქულა**
2. **პროექტის განხორციელების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და რისკების ანალიზი** ბიზნეს/კომერციული პროექტების შემთხვევაში: საპროექტო განაცხადში გასაგებადაა გადმოცემული, როგორ შეუწყობს ხელს საგრანტო პროექტის განხორციელება აპლიკანტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესებას, როგორია სარეალიზაციო ბაზარი, კონკურენცია, ვინ იქნებიან მომხმარებლები. სოციალური/საგანმანათლებლო პროექტების შემთხვევაში: საპროექტო განაცხადში გასაგებადაა ჩამოყალიბებული, როგორ შეუწყობს ხელს საგრანტო პროექტის განხორციელება მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას. სამოქმედო გეგმაში მოცემული საქმიანობები გონივრულია და შეესაბამება დროით ჩარჩოს (პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა კომერციული პროექტების შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, ხოლო სოციალური/საგანმანათლებლო პროექტების შემთხვევაში - 6 თვეს). საპროექტო განაცხადში შეფასებულია პროექტის განხორციელების რისკები და შემოთავაზებულია მათი შემცირების გზები.	**20 ქულა**
3. **პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგები** პროექტს წვლილი შეაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის შექმნის შესაძლებლობების გაჩენაში/შემოსავლების გაზრდაში და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, ახალი სერვისების დანერგვაში. (მაგალითად: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, არსებული სამუშაო პირობების გაუმჯობესება, ცოდნისა და ინოვაციის გავრცელება).	**20 ქულა**
4. **ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება და ინტეგრაცია** პროექტი ეხმიანება ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, ემსახურება მათ სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას და ითვალისწინებს ეთნიკური თუ სოციალურად განსხვავებული ჯგუფების ურთიერთთანამშრომლობას (diapraxis).	**15 ქულა**

5. **ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობები** განმცხადებელს აქვს შესაბამისი ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისათვის. ასევე, არსებობს პროექტის განხორციელების ხელშემწყობი წინაპირობები, გარემო ფაქტორები და რესურსები (ადამიანური, ტექნიკური და ა.შ.).	**5 ქულა**
6. **მდგრადობა** განაცხადში ნაჩვენებია, რამდენად სიცოცხლისუნარიანია იდეა და რამდენად გრძელვადიანია მისი შედეგები.	**10 ქულა**
7. **პროექტის ბიუჯეტი და საგრანტო თანხა** პროექტის ბიუჯეტი არის გონივრული, რეალისტური და ასახავს გრანტის რესურსების ეფექტიან მოხმარებას. მოთხოვნილი ბიუჯეტი არ შეიცავს აკრძალულ ხარჯებს (იხ. თავი 4); ასევე, მოთხოვნილი თანხა შეესაბამება კონკურსის დაფინანსების კრიტერიუმებს. (იხ. ასევე თავი 4).	**10 ქულა**
8. **მოთხოვნილი დოკუმენტაციის სისრულე** აპლიკანტის მიერ წარმოდგენილია ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი (იხ. თავი 5, I ეტაპი).	**5 ქულა**

აღნიშულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით საგრანტო განაცხადები შეფასდება საგრანტო კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად. კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები დაჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული რიცხვი, რაც წარმოადგენს კონკრეტული საგრანტო განაცხადის შეფასების ქულას. დაფინანსებას მოიპოვებენ ყველაზე მაღალი ქულის მქონე საგრანტო განაცხადები.

განაცხადის შეფასების პროცესში საგრანტო კომისია უფლებამოსილია, განმცხადებელს მიაწოდოს რეკომენდაციები საპროექტო იდეის დახვეწის მიზნით. ასევე, საგრანტო კომისია უფლებამოსილია განაცხადში მოყვანილი გარემოებების გადამოწმების მიზნით მოთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ან/და განმარტებები კონკრეტულ საკითხზე, ასევე ფაქტებისა და გარემოებების ადგილზე გადამოწმება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შერჩევის შედეგები ეცნობებათ განმცხადებლებს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, განმცხადებელს მიეცემა წერილობითი პასუხი უარის თქმის მიზეზების შესახებ.

III ეტაპი - მონიტორინგი და გასაუბრება

მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ, აპლიკანტებთან შეთანხმებით, დაიგეგმება და განხორციელდება პოტენციური დასაფინანსებელი პროექტების ადგილზე მონიტორინგი და პოტენციურ აპლიკანტებთან გასაუბრება.

IV ეტაპი - საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

გამარჯვებულ პროექტებთან მოხდება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება და პროექტების განხორციელება.

ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები

შერჩევის შემდეგ პროექტის განაცხადები საბოლოო განხილვისათვის წარედგინება CENN-ის პასუხისმგებელ პირს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე CENN აღმოაჩენს შეთანხმებული და აუცილებელი პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს, ის უფლებამოსილია, შეაჩეროს გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტები სრულ წესრიგშია, წარმატებული განმცხადებელი ხელს მოაწერს საგრანტო ხელშეკრულებას CENN-თან. ხელშეკრულებაში დეტალურად იქნება გაწერილი ორივე მხარის როლი და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაზე, ასევე შეთანხმების პირობებზე.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, გრანტის მიმღებმა საკუთარი თანამონაწილეობით განსაზღვრული თანხები თავად უნდა გახარჯოს და წარმოადგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია, ხოლო გრანტის თანხის გახარჯვას CENN უზრუნველყოფს (სოციალური და საგანმანათლებლო პროექტების შემთხვევაშიც, სრულად CENN უზრუნველყოფს გრანტის თანხის გახარჯვას).

თანადაფინანსების სახსრები საგრანტო ფონდთან ერთად გამოყენებული იქნება განმცხადებლის ბიუჯეტში ჩამოთვლილი მომსახურების გასაწევად, პროდუქციის შესასყიდად, ტრანსპორტირების ან/და მონტაჟისათვის.

პროექტის დასრულებისას, ყველა აქტივი გადაეცემა განმცხადებელს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათ შემდგომ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე.

6. განცხადებებისა და საჩივრების კომისია

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო პროცესთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მიზნით, შეიქმნება განცხადებებისა და საჩივრების კომისია. განცხადებებისა და საჩივრების კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განცხადების ან საჩივრის დარეგისტრირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საჩივარში არსებულ გარემოებებს და თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს საჩივრის წარმდგენს.

7. პროექტის დაფინანსების შემდგომი მონიტორინგი

პროექტის მიმდინარეობისას ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს გრანტის გამცემისათვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. გრანტიორი აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის გუნდისათვის 5 წლის განმავლობაში.

პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. ბენეფიციარებმა უნდა უზრუნველყონ დაფინანსებული პროექტების (მათ შორის დონორის) ხილვადობა გამოცდილების გაზიარების მიზნით. ხელმოწერის დღიდან მომდევნო სამი (3) წლის განმავლობაში, CENN-ის თხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ჩვენება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი სოფლის მეურნეობის
საგრანტო კონკურსი

საგრანტო სახელმძღვანელო